# შრომა

## სურათებიანი დამატება

დამატების № 35. ხუთშაბათი, 10 აგვისტო, 1906 წ. გაზეთის № 103


* * *

ზღვავ უპოვარო, მაშინ მიყვარხარ,
აბობოქრებულს როს გადმოგყურებ,
შავ-კლდეს გულს უპობ შხამით გავსებულს,
შემზღუდველ კიდეს წამს ანადგურებ!

—

დიადი არის შენი მიზანი,
აზრი სპეტაკი, შუქ-მადლიანი,
თვით არსებობის მედგარი ძალა
და იერიში სამართლიანი.

—

ტალღავ, აზვირთდი,—ჩაგიკრა გულში,
წამიღე ზღვისკენ, მეც წარმიტაცე,
მასწავლე ბრძოლა, მკაცრი შენსავით,
რომ სიამაყე მტრისა ძირს დავცე!..

**სოფ. გ—მე**

---

### ცხოვრების გარეშე დარჩენილი

**მომქმედნი პირნი**

(შემდეგი*)

**გამოსვლა მესამე**

იგინივე, ზაალ და ელისაბედ, შემდეგ ქაიხოსრო.

**ზაალ.** ნინო, თეფშები დააწყე!

**ნინო.** მზათ გახლავს.

**ზაალ.** დანა-ჩანგალიც მოამზადე! პა, პა, პა, პა! რა მწვადია! ცვრიანი! (ელენეს და თამროს). თქვენ, რასაკვირველია, არ მიირთმევთ; ჩაი არ გირჩევნიანთ! (ხალიჩაზე მოიკეცავს).

**ელისაბედ.** ეგ ვახშმად უნდა ვჭამოთ, ეხლა რა დროსია!

**ზაალ.** თქვე ოჯახ-დაქცეულებო, ვახშამს პირველ საათზედა სჭამთ, მანამდის, კაცმა სად გიცადოთ! ორ საათზედ იძინებთ და, სადილის დროს, თორმეტ საათზედ სდგებით! მე ცხრა საათზე უნდა დავიძინო და ხუთზე ავდგე. ასეა წესი და რიგი! თქვენ კი ყველაფერი უკუღმართადა გაქვთ! (სჭრის მწვადსა. სახეზე სიამოვნება ეტყობა) მოდი, დედაკაცო! არ გესმის, ელისაბედ! მოდი, შენ მაინც შეექეცი! მამა უცხონდათ, მაგათ ქალაქშიაც არ უჭამია ეგეთი მწვადები!

**ელისაბედ.** ხომ ჰხედავ, ჩაისა ვსვამ.

**ზაალ.** რაც გინდა, ქენით! მაშ მარტოკა როგორ შევექცე! არიქა, მართლა, ნინო, მარანში ერთი ჩარექა ღვინო დგას; ჩაირბინე, შენ გარდასა, და მოიტანე! მარნის კედელთან ფრთხილად იყავი, გუშინ იქ ვეებერთელა მცურავი ვნახე, იქ სადღაცა აქვს ბუდე! (ნინო მიდის და პატარა ხანს უკან ღვინო მოაქვს).

**ნინა.** ნინო, კიდე დამისხი ჩაი. (ცარიელ ფინჯანს აძლევს, ნინო დაასხამს და მიართმევს.)

**ზაალ.** მაშ მარტო უნდა შევექცე ამ მწვადსა? მეტი რა გზაა, ღვინოსაც მარტო დავლევ!

**ქაიხოსრო.** (შემოდის). რაჲთ, მამა, მარტოკა რად შეექცევი? მარტოკა რად დალევ ღვინოს, როდესაც მეც შენთანა ვარ! შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, შენთან ყოფნა და შენთან ღვინის სმა. (ისკუპებს და ხალიჩაზე მოიკეცავს).

**ზაალ.** აი, შენ კი გენაცვალე, რომ მარდი ხარ! ნინო, გაიქეც მეორე ჩარექაც ამოარბეინე! ერთი ჩარექა მე თუ ამასა?

**ქაიხოსრო.** რასაკვირველია, ერთი კი არა, ორიც რომ მოიტანო, ღმერთი არ გიწყენს. (ნინო მიდის და ღვინო მოაქვს. ზაალი და ქაიხოსრო შეექცევიან მწვადსა და ღვინოს.)

**ელისაბედ.** შვილო, თათარი ხომ არა ხარ, ქუდი მოიხადე! სუფრაზედ ზიხარ და ქუდი გხურავს!

**ქაიხოსრო.** მერე რა არის, რომ ქუდი მხურავს!

**ელისაბედ.** ის არის, რომ ქრისტიანმა კაცმა მოწიწებით უნდა მოიხადოს ქუდი, გადიწეროს პირჯვარი და მერე სჭამოს პური!

**ქაიხოსრო** ქრისტიანი! მერე ვინ გითხრა, რომ მე ქრისტიანი ვარ? მე ქრისტე არა მწამს, არა!

**ელისაბედ.** ღმერთი გიწყენს შვილო, ღმერთი!

**ქაიხოსრო.** თუ მიწყენს, ყურებზე ხახვი არ დამაჭრას! სად არის ღმერთი? ვინა ნახა? აბა თუ სადმე არის, რატომ არ დამსჯის? აი ხომ ჰხედავს, რომ მე მას უარსა ვყოფ! (ზმაოდნავ უკანკალებს) აბა, სადა ხარ ღმერთო! თუ ხარ სადმე, დამსაჯე! არა მწამხარ! (უცბად დაჩუმდება)

**ელისაბედ.** უი, ჩემს თვალებს, რა დღეს მოვესწარი! რა დღეს მოვესწარი!

**ზაალ.** (გულმოსული). იცი, რა გითხრა! შენ ეი! რაც გინდა ქენი, მე ყველაფერში თავისუფლებას გაძლევ, მაგრამ ღმერთის გმობას თავი დაანებე თორემ, იმის მადლსა ვფიცავ, რომ თავს შუაზედ გაგიჩეხავ! შე, ბაიყუშო, შენა!

**ქაიხოსრო.** თავს შუაზედ გამიჩეხავ რა, კატის კნუტი ხომ არა ვარ! შენ რა გენაღვლება, მე რომ ღმერთი არა მწამდეს? მე ხომ შენ არ გიშლი, ნუ გწამს მეთქი? ჰო და შენც თავი დამანებე, თუ მინდა ვიწამებ, თუ მინდა—არა!

**ზაალ.** (წამოდგება) დაჩუმდი მეთქი, შე არამზადავ, თორემ სახლში აღარ შეგიშვებ!

**ქაიხოსრო.** ყველა ადამიანი ისე უნდა მოიქცეს, როგორც ჰსურს და როგორც უნდა!

**ზაალ.** ჰო, და მეც ისე მოვიქცევი, როგორც მსურს და როგორც მინდა, და ერთი კარგად მიგამჟავებ და სახლიდან კინწის კვრით გაგაგდებ!

**ქაიხოსრო.** (ბურტყუნებს). რა გელაპარაკოთ კაცმა, როცა უკან ჩამორჩენილები ხართ! და არაფერი არ გესმით!

**ზაალ** (დაჯდება). აი, დასწყევლოს ღმერთმა, როგორი ხალხი გაჩნდა ქვეყანაზედ. შენ ხომ სწავლა არ მიგიღია, მეოთხე კლასიდანა ხარ გამოგდებული, შენ საიდან გახდი ეგეთი ურწმუნო?!.. ღმერთი არა მწამსო! მაშ ვინ გაძლევს ამ პურსა, ამ ღვინოსა, ჰა! ვინ გაძლევს, შე ღმერთ-გამწყრალო? მიპასუხე რაღა, რას გაჩუმდი?

**ქაიხოსრო.** პურს მიწა მაძლევს, ღვინოს კიდევ აი ის ვაზები.

**ზაალ.** დაჩუმდი, შენ ბაიყუშო, შენა, თორემ ამ ჩარექას ხომ ჰხედავ?

---

*) იხ დამატება № 34.



ბრძოლა სულისა ცოდვახთან.—სურათი გეცესი.

**ელისაბედ.** კარგია, ადამიანო, აღარ გაათავებ? ხომ გაჯავრდი და გეყოფა!

**ზაალ.** რას ამბობ, დედაკაცო, როგორ თუ მეყოფა! იმიტომ გვსჯის ღმერთი, რომ ყველა ურწმუნო გახდა! მაშ რა მიზეზია, რომ ვენახები გვიფუჭდება და ყანები გვესეტყვება?

**ელისაბედ.** ახლა აღარ დადგება! გავიგეთ. ენა არ დაგეღლება ხოლმე, რომ მაგდენს ლაპარაკობ?

**ზაალ.** შენ თუ ჩემი წინააღმდეგი არა თქვი, ხომ არ შეგიძლიან! უთუოდ პირში უნდა ჩამიდგე ხოლმე. (მწვადსა სჭამს. რამდენიმე წამი სიჩუმეა). რა გამოვიდა, რა! გუნებას კი გაუფუჭებთ ხოლმე ადამიანსა და! ნინა, სანდრო აქამდის სად არის? რატომ არ გამოვიდა ვენახში?

**ნინა.** საცაა მოვა. ვიღაც ძველი ნაამხანაგარი უნახავს ჩვენს სოფელში და იმასთან წავიდა, მაგრამ საღამოთი ვენახში გამოვალო.

**თამარ.** ვინ ძველი ნაამხანაგარი? რა გვარია?

**ნინა.** არ ვიცი, სანდროს ჩემთვის გვარი არ უთქვამს, ეჩქარებოდა.

**ზაალ.** ახლა რა ჯიუტობაა იმ შენი ქმრისაგან, თუ დღესვე ქალაქში არ წავიდა, არ იქნება? დარჩეს ხვალაცა, კარგს დროს გავატარებინებ და ზეგ სიგრილით წავიდეს!

**ნინა.** როგორ იქნება, ხვალ ორშაბათია და სამკურნალოში უსათუოდ უნდა იყოს, თორემ სამკურნალოს გამგე ექიმი გაჯავრდება.

**ზაალ.** სრულიადაც არ გაჯავრდება; რამდენი ექიმია, რომელიც მთელი კვირა არ დადის! შენი ქმარი, იცი, რაღაცა... მშიშარაა! გამგესი როგორ უნდა ეშინოდეს!

**ქაიხოსრო.** (რომელიც აქამდის მოშორებით გაჯავრებული იდგა) მშიშარაა, მშიშარა, როგორც თაგვი!

**ზაალ.** სემინარისტსა ჰგავს! იმათსავით მორცხვი და უხეიროა! რა ძალიან შეუყვარდა ის ქალაქი, რომ უიმისოთ ველარა სძლებს. (უცბად შუბლზედ ხელს დაიკრავს) დაიცა ერთი! ხვალ რა რიცხვია, ხვალ ხომ პირველია, ადამიანო! ჰა, ელისაბედ, რამდენია ხვალა?

**ელისაბედ.** პირველია მაშა! ხვალ ორშაბათი არ არის? ჰო და შაბათს ოცდა ცხრა იყო, კვირა 30 და ორშაბათი— პირველი!

**ზაალ.** კაცო, ხვალ ხომ პენცია უნდა ავიღო! აი, დასწყევლოს ღმერთმა, როგორ გადამავიწყდა! თქვენც ხომ თავის დღეში არ მომაგონებთ!

**ელისაბედ.** ხვალ იყოს თუ ზეგ, სულ ერთი არ არის, ზეგ უფრო სჯობია; ცოტა ხალხი იქნება და მალე გამოგისტუმრებენ.

**ზაალ.** ზეგ უფრო სჯობია! რაც მალე ავიღებ, იმას რა სჯობია? მაშ მეც ხვალ წავალ! (მცირე პაუზა) რა წავუღო რძალსა?

**ელისაბედ.** უთუოდ უნდა წაუღო რამე? ყოველთვის თუ ძღვენი არ მიართვი, არ შეიძლება! ის ბევრს რამეს გიგზავნის?

**ზაალ.** რას ლაპარაკობ? სოფლიდან ქალაქში მივდივარ, ვენახში ხილი მიდგას და ცარიელი როგორ უნდა წავიდე?! (უყვირის) მიხა! ჰაი, მიხა, მიხა!

**მიხა.** (შორიდან) აქა ვარ, რა გნებავს?

**ზაალ.** ჩამოირბინე ჩქარა! უმისობა როგორ იქნება, რომ ერთი ხურჯინი კიტრი მაინც არ წავუღო? ალუბალიც საჭიროა?

**მიხა** (შემოდის). რა გნებავს?

**ზაალ.** ხვალ გათენებისას ქალაქში მივდივარ, აბა, მიხა, შენ გარდასა, ორი კალათა ალუბალი უნდა მოკრიფო და ერთი ხურჯინი კიტრი. მარნის გვერდზე კიდევ დარჩა ალუბლის რამდენიმე ძირი მოუკრეფავი!

**მიხა.** კიტრის მოკრეფა როგორ შეიძლება, როცა ახალი მორწყულია! თქვენ თითონვე ხომ ნახეთ, რომ ვრწყავდი?

**ზაალ.** ზევითა ნაწილია მორწყული, ქვეითა ხომ არა? ქვეითა ნაწილში კიტრები ჰერახივითა ყრია!

**მიხა.** თუ კი სულ გაათოხრებ იქაურობას, რაღა გამოვიდა! დღეში ათჯერ ხომ არ შეიძლება მოკრეფა!

**ზაალ.** შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ, თუ ღმერთი გწამს! რასაც გიბრძანებ, ის გააკეთე! (**მიხა ბუტბუტით მიდის**). აი, სანდრო და მოურავი პეტრეც მოვიდნენ,

### გამოსვლა მეოთხე.

იგივენი, სანდრო და პეტრე.

**ზაალ.** სანდრო, მეც მოვდივარ ხვალ ქალაქში, ბარემ ერთად წავიდეთ!

**სანდრო.** მე რომ ამაღამ უნდა წავსულიყავი?

**ზაალ.** მერე რა არის, რომ უნდა წასულიყავი? ხვალ ექვსი საათის მატარებლით რომ წავიდეთ, ქალაქში ადრე ჩავალთ, ისე რომ ნუ გეშინიან, სამკურნალოში არ დაგიგვიანდება. აბა, ერთი მითხარი, რას ეგვენება, რომ ამაღამ შენ წახვიდე და ხვალ მე?

**სანდრო.** კარგი. ხვალ ერთად წავიდეთ. (**ნინას**). ნინა, რომ იცოდე ვინა ვნახე! ჩემი ძველი ამხანაგი, რომელიც, რამდენიმე წელია, არ მენახა. ის თურმე შენც გიცნობს. დიდი

ხანია მას აქეთ, რაც დაახლოვებით შენს ცოლს ვიცნობდით მითხრა და ისე გამიხარდა, რომ მეტი არ იქნება!

**ნინა** } (ერთად). ვინ არის? (აქამდის ჩაისა სვამდა და არავის
**თამარ** } არ აქცევდა ყურადღებას) რა გვარია?

**სანდრო.** ლევან ეგანაძე!

**ნინა** } (ორივენი შეკრთებიან) ლევან ეგანაძე!
**თამარ** } ლევან ეგანაძე?

**სანდრო.** ჰო, განა გაგიკვირდა, არ მოელოდი? ხვალ მოვა ჩვენსა; აბა, მე ხვალ აქ არ ვიქნები და, გთხოვ, კარგად დაუხვდე!

**ნინა** (დაბალის ხმით). აქ რა უნდა, აქ რას აკეთებს? დიდი ხანია, რაც საქართველოში ჩამოსულა? სამსახურში არის, თუ ისე უსაქმოდ დადის?

**სანდრო.** თუ გინდა, იმის მოკლე ბიოგრაფიას გეტყვი. უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით. ლევანი ცეცხლის ტემპერამენტის ადამიანი იყო და თანამედროვე მოძრაობამ ისე გაიტაცა, რომ მთელი თავის ძალ-ღონე მას შეალია. მაგრამ დიდხანს არ დასცალდა ესეთი მუშაობა. ერთი წლით ციხეში ჩასვეს. როგორც დღეს გავიგე, ციხემ იმაზედ საშინელი გავლენა იქონია: მოუშალა ნერვები. ეხლა მითხრა ლევანმა: მოძრაობა აღარ მაინტერესებსო, ჩემი საკუთარი პიროვნება—ჩემთვის სიცოცხლის მიზანს შეადგენსო. მერე გადიხარხარა და სთქვა: „ციხეში ინდივიდუალისტების—ნიცშეს, შტირნერის ფილოსოფია შევისწავლე, ვიკითხე დეკადენტების ნაწერები და მეც დეკადენტი გავხდიო“.

**ელისაბედ.** ქა, ეგ ის ლევანი ხომ არ-არის, რომ...

**ნინა.** (საჩქაროდ სიტყვას გააწყვეტინებს). ჰო, დედა, ის ლევანია, ჩვენსა ხშირად რომ დადიოდა ხოლმე!

**პეტრე.** მეც გამიგია მისი ლაპარაკი! ზნეობა არა მწამსო. თქვენი ზნეობა ფეხით გასათელიაო! არ მესმის, ღმერთმანი, როგორ შეიძლება, რომ კაცმა ზნეობა ფეხით გასთელოს! ის რა კაცია, ვისაც გული არა სტკივა, როდესაც ხედავს მოძმის ტანჯვას? ვინც არა სცდილობს გაიყოს მოძმის ჭირვარამი, იტიროს ხალხის ცრემლით და იმხიარულოს ხალხის სიხარულით! ვინც ამას უარსა ჰყოფს, ის, ჩემის აზრით, ყოვლად გაფუჭებული კაცია! ჰო და ლევან ეგანაძეც ამისთანა კაცად უნდა ჩაითვალოს!

**ქაიხოსრო.** აქ რომ ლაპარაკობ, ის კი არ არის ბიჭობა: აბა თუ კაცი ხარ თვით, იმას შეები; სიცოცხლე გაქვს, მალე ჩაგაჩუმოს!

**პეტრე.** ლევან ეგანაძე კიდევ სხვა მხრით არის მავნე პირი: ვიზედაც იმან გავლენა იქონია, ყველანი გაფუჭდნენ. აი, მაგალითად, თუნდა ქაიხოსრო და მისი ამხანაგები! შენ კი ნუ გეწყინება, ქაიხოსრო, მაგრამ რასაც შენა და შენი ამხანაგები ლოთობა და სისაძაგლეს სჩადიხართ, ეს სულ იმისი ბრალია!

**ქაიხოსრო.** რასაც შენ შარლატნობ, ეს ვისას ბრალია? ესეც ლევანის ბრალია? თუ ჭკუა გაქვს, ნუ მათქმევინებ, თორემ...

**თამარ.** საკვირველია, ღმერთმანი! ეს ჩვენი მოურავი პატიოსნებასა და ზნეობაზედ ყველაზედ ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ თვითონ კი ისეთ საქმეებს სჩადის, რომ არც ერთი სინიდისიერი ადამიანი არ იკადრებს...

**პეტრე.** ეგ ცარიელი სიტყვებია, ფაქტებია საჭირო... თქვენ ალათა ხართ ჩემზე გადაკიდებული, არ ვიცი კი, რა დაგიშავეთ!

**თამარ.** ფაქტები? გახსოვთ, გლეხ-კაც გიგიას, წვრილშვილსა და ღარიბ-ლატაკს, ფული რომ ასესხეთ 25 პროცენტად? მერე მამული რომ აუწერეთ და ცარიელზე დასტოვეთ? ყველას შეუძაგდება ის ზნეობა, რომელსაც თქვენისთანა დამცველები ეყოლება! ადამიანი ისე რომ მოიქცეს, როგორც მიღებული არ არის, მაშინვე კიჟინას დაჰკრავთ და მზათ ხართ ჩააქვავოთ, თუმცა თავის საქციელით მან არავის არ ავნოს! ამ დროს კი თქვენ, პატიოსნების და ზნეობის მქადაგებელნი, თქვენის ქცევით სხვას ჰყვლეფავთ და ღუპავთ!

**ქაიხოსრო.** შენ კი გენაცვალე, თამრო, რომ ჭკვიანი გოგრა გაქვს! მაგათ ვერ გაუგიათ, ვერ მიმხვდარან, რომ კაცი, ისე უნდა მოიქცეს, როგორც სურს და როგორც უნდა!

**პეტრე.** მე არაფერს არ ვიტყვი!

**ქაიხოსრო.** მეც ვიცი, რომ არაფერს არ იტყვი, როცა სათქმელი არა გაქვს-რა!

**ზაალ.** (მწვადის ჭამას თავს ანებებს და წამოდგება). ემანდ ჩხუბს თავი დაანებეთ და ვენახიდან წავიდეთ, საცაა დაღამდება და, მგონია წვიმასაც აპირებს. ელისაბედ, აბა წამო, წასასვლელად მომამზადე.

### გამოსვლა მეხუთე

(იგინივე, შალვა და განო შემოდიან და ყველას ხელს ართმევენ.)

**ზაალ.** ცუდს დროს მოხვედით; უკაცრავად, ჩვენ მივდივართ, მაგრამ იმედია, ქაიხოსრო კარგად გაგიმასპინძლდებათ. აბა ვინც მოდიხართ, წავიდეთ! (ყველანი მიდიან).

**ქაიხოსრო.** (სანდროს შეაჩერებს) მართლა, სანდრო, კინაღამ დამავიწყდა, ბილეთის ფული არ მოგიცია.

**სანდრო.** რამდენი უნდა მოგცე?

**ქაიხოსრო.** საქველმოქმედო აზრით გავმართეთ ეს წარმოდგენა, და ბილეთი ერთ მანათად ღირს, მაგრამ, თუ მეტს მისცემ, უფრო კარგია!



„სათათბირო მოკვდა, გაუმარჯოს სათათბიროს!“ ინგლისის პირველ მინისტრის კემპბელ-ბანერმანის სიტყვა, სათათბიროს დახურვის შესახებ წარმოთქმული საერთაშორისო კომფერენციაზე.

**სანდრო.** მაშ ოთხ მანეთს მოგცემ. (აძლევს ფულს და გადის. სცენაზე დარჩებიან მხოლოდ ქაიხოსრო, პეტრე, შალვა და განო).

**ქაიხოსრო.** (იცინის). დავტყუე თუ არა! აბა, ბიჭებო, ვინ რამდენისა გაყიდეთ? მე სამი თუმნისა გავყიდე კიდეც!

**შალვა.** მე და ვანომ სულ თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთისა გავყიდეთ. ეგ კი არა, კაცო, ყველანი მკითხავენ ვის სასარგებლოთა სდგამთო.

**პეტრე.** უთხარ, ღარიბ სტუდენტის სასარგებლოდ ვდგამთ და იმიტომ ვმალავთ, რომ მას რცხვენიან-თქო! პეტრე, რა ძაღლი კაცი ხარ! მოხერხებული კი ხარ, მაგრამ როგორ დაგავიწყდა, რომ წელან აქ ზნეობას გვიქადაგებდი!

**პეტრე.** შენ სულელი ნუ ხარ! ხალხი უნდა ვასიამოვნოთ, წარმოდგენა ვაჩვენოთ და რა დასაძრახისია, რომ იმაში ფული ავიღოთ? მუქთად ხომ არ ვიღებთ, შრომის ფასის აღება უზნეობა სრულებითაც არ არის!

**ქაიხოსრო.** როგორ გგონია, სულ რამდენისა გაიყიდება და წმინდა შემოსავალი რამდენი იქნება?

**პეტრე.** (ქაიხოსროს ხელით აჩვენებს). სულ ათი თუმანი რომ იყოს, მეტი არ იქნება, თითოს ჩვენგანს ორ თუმან ნახევარი შეხვდება.

**ქაიხოსრო.** აბა ერთი მარნისკენ გავწიოთ!

### გამოსვლა მეექვსე

(შემოდის მიხა და კიტრებით სავსე ხურჯინი შემოაქვს).

**ქაიხოსრო.** მიხა, ხორცი კიდევ არის შესაწვავი?

**მიხა.** მარანშია ცივად შენახული.

**ქაიხოსრო.** აბა, მაშ წავიდეთ, ჩვენ თითონვე შევწვათ მწვადები; ღვინოც ბევრია და ერთი ლაზათიანად ვიქეიფოთ! აბა, ვანო, შენებურად შემოსძახე!

**ვანო.** (მაღალის ხმით)

ჰერი, დელი—დელია—დელია
საქართველო ჩვენია—ჩვენია.

**ყველანი.** (ბანს მისცემენ)

ჰერი დელი—დელია—დელია
საქართველო ჩვენია—ჩვენია.

(გავლენ და ნელ-ნელა მათი ხმაც მისწყდება)

**მიხა.** (თავისთვის) თქვენი ვირის ფეხებია! ერთი ბეწო მიწა-ღა შეგრჩენიათ და მაინც გაიძახით, საქართველო ჩვენიაო... მეტი რაღა დაგრჩენიათ! თქვენი რომ იყოს, საქართველოდან ციმბირში ვერავინ ვერ გიკრავდათ თავსა. შარშან ქაიხოსროს ბიძას, ივანეს, მამული აუწერეს და ციმბირში ამოაყოფინეს თავი!

(ხალიჩას აიღებს და ნელ-ნელა ბარგს ალაგებს)

**შალვა ნათაძე.**

(შემდეგი იქნება)



**სტოლიპინი.**—ახლა მეც აღარ ვიცი, რომელია ჩვენგანი პირველი მინისტრი.




**დურნოვო.**—ახლა კი, ჩემო მეგობარო, სერგეი იულიჩ (ვიტტე), შეგვიძლიან დავბრუნდეთ შინ, სათათბირო ხომ დაათხოვეს!

რედაქტორ-გამომცემელი [illegible]
[illegible]